

## ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

საგანელიძე თ., ვეფხვაძე ნ.,  
ქოჩორაძე-მარლიშვილი თ.

### მაიონიზაბელი გამოსხივება და პარენტულობა

თსუ, ჰიგიენის და სამაციციო ეკოლოგიის  
დააკართავეთი

რადიაცია ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ნაწილია, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა.

მაიონიზებელი რადიაცია ტალღის ან ნაწილაკის სახით სივრცეში მოძრავი ენერგიაა, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეუძლია დნმ-ისა და უჯრედის მებრძნის დაზიანება და შესწევა ნივთიერების იონიზების უნარი. მაიონიზებელ გამოსხივებას არ მიეკუთვნება გამოსხივება, რომლის ენერგია არ არის საკმარისი ატომებისა და მოლეკულების იონიზაციისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ულტრაიისფერი და სინათლის ხილვადი დიაპაზონის გამოსხივება.

ადამიანის დასხივების ნახევარი მოდის ჰაერში არსებული რადონის, კოსმოსური სხივებისა და დედამინის გამოსხივების, ნახევარი კი — სამედიცინო, კომერციული თუ ინდუსტრიული მიზნით შექმნილი რადიაციის წყაროების ხარჯზე, რის შედეგადაც ყოველი ჩვენგანი იღებს გარკვეულ ფონურ რადიაციას ისეთი ბუნებრივი წყაროებიდან, როგორებიცაა: წყალი, საკვები, ნიადაგი, ჰაერი და სხვა. თუმცა, მიჩნეულია, რომ დასხივების ეს დოზა ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის, რადგან მის სიდიდეს ადამიანი ევოლუციურადა შეგუებული. აღნიშნული ეხება ბუნებრივად არსებულ რადიაციულ ფონს და არა — ტექნოგენურად შეცვლილს, რომლის მნიშვნელობაც შეიძლება ბევრად აღმატებოდეს ბუნებრივ ფონს.

საყურადღებოა, რომ მწეველებზე რადიაციის უფრო დიდი დოზა მოქმედებს, ვიდრე არამწეველებზე, რადგან თამბაქოს კვამლი შეიცავს რადიოაქტიურ (ალფა-გამომსხივებელი) პოლონიუმს (14).

რადიაციული ფონი შედგება, ერთი მხრივ, ბუნებრივი რადიაციული (კოსმოსური და მინიერი ნარმოშბის ბუნებრივი რადიონუკლიდები) და ტექნოგენურად შეცვლილი ბუნებრივი რადიაციულისა (ადამიანის საქმიანობის შედეგად ბუნებაში გაფანტული ხელოვნური რადიონუკლიდები) და, მეორე მხრივ, ხელოვნური რადიაციული ფონისგან. 21-ე საუკუნე ატომური ენერგიის საუკუნეა, რადგან ატომურ ენერგიას, შეიძლება ითქვას, ყველა სფეროში იყენებენ. ეს, უდავოდ, სიკეთის მომტანია კაცობრიობისთვის, თუმცა მას უკავშირდება ხელოვნური რადიაციული ფონის ზრდის საშიშროება, რაც, ძირითადად, ატომური იარაღის საცდელი აფეთქებებით, სახალხო მეურნეობაში ხელოვნური რადიონუკლიდების გამოყენებით, ატომური ელექტროსადგურების ექსპლუატაციითა და ბირთვულ-ენერგეტიკულ დანადგარებზე ავარიებითა განპირობებული.

მაიონიზებელი დასხივების ზემოქმედება, ნების-

მიერი - მცირე თუ დიდი დოზებით - შეუმჩნეველი არ რჩება ორგანიზმის მიერ და ეფექტი შეიძლება გამოვლინდეს როგორც დეტერმინირებული (რომელიც ვლინდება ზღვრულზე მეტი დოზით დასხივებისას), ასევე სტრიქონური (რომელსაც არ გააჩნია ზღვრული დოზა) სახით (1).

ნარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს მაიონიზებელი გამოსხივების ორგანიზმების ზემოქმედებით განპირობებული შესაძლო მავნე შედეგების ამსახველი მასალის მოკლე მიმოხილვას, რამეთუ, მიუხედავად სოლიდური მოცულობის ინფორმაციის არსებობისა, ჯერ კიდევ ბევრი ურთიერთსანინააღმდეგო მონაცემი არსებობს რადიაციით (განსაკუთრებით მისი მცირე დოზებით) გამოწვეული ჯანმრთელობის რისკების შესახებ.

პირველი ცნობები რადიაციის მავნე ზემოქმედების შესახებ მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა, როდესაც აღწერეს დასხივებით გამოწვეული კანის დაზიანება, კიბო და ლეიკოზის შემთხვევები.

რადიაციული დაზიანება, ძირითადად, ფიქსირდებოდა რადიოლოგებსა და სამედიცინო რენტგენ-ტექნიკოსებთან, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდათ გამომსხივებელ წყაროებთან, მათ შორის, რადიუმთან.

დღეს, ეჭვს არ იწვევს, რომ მაიონიზებელი დასხივება შეიძლება განაპირობებდეს დასხივებული სუბიექტის ორგანიზმში სომატურ, ხოლო მის შთამომავლობაში - გენეტიკურ ეფექტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, რადიონუკლიდების მოხვედრა ორგანიზმში ნებისმიერი (საქვებით, წყლით, ჰაერით თუ კანის) გზით ძალზე სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, თუმცა, მხოლოდ ეს არ წარმოადგენს აუცილებელ და ერთადერთ წინაპირობას მავნე ეფექტის განვითარების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, რადიაციულ ზემოქმედებასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს რისკის სხვა ფაქტორების არსებობასაც, მათ შორის, დასხივებული პირის ასაკს, ცხოვრების ნესს, მავნე ჩვენების არსებობას (განსაკუთრებით თამბაქოზე დამოკიდებულებას), ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობას, განათლების დონეს, ცხოვრებისა და შრომის პირობებს, დასხივებული მიდამოს რადიომგრძნელობას და ა. შ. (6).

ზოგად დასხივებაზე ორგანიზმის პასუხს განსაზღვრავს მის მიერ მიღებული დოზა: 1-დან 5 გრეიმდე (გრ) დასხივების დოზის მოქმედების პირობებში ვითარდება სხივური დაავადების ძვლის ტკინის ფუნქციის მოშლით მიმდინარე ფორმა. 3-დან 5 გრ-მდე დოზით დასხივებისას ადამიანის სიკვდილის მიზეზს ძვლის წითელი ტკინის დაზიანება წარმოადგენს. 5-დან 10 გრ-მდე დასხივება იწვევს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ეპითელიუმისა და კაპილართა ენდოთელიუმის დაზიანებას, რის შედეგადაც ვითარდება სხივური დაავადების გასტროინტესტინური ფორმა და, აღნიშნული დაზიანებების ფონზე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 1 თვეს არ აღემატება. 10 გრ-ზე მეტი დოზით დასხივებისას ვითარდება სხივური დაავადების ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარე ფორმა (ცერებრული ფორმა). ამ

დღოს ადამიანი ილუპება რამდენიმე დღეში, რასაც განვითარებული შოკი იწვევს.

ჯანმრთელობაზე გავლენის თვალსაზრისით, დასხივებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესახებ ცოდნა, ძირითადად, ეყრდნობა იაპონიის ატომური ბომბარდირების შემდეგ გადარჩენილთა და ონკოლოგიური პათოლოგიის გამო სხივურ თერაპიას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული უარყოფითი ეფექტები ორივე შემთხვევაში დასხივების მაღალი დოზის ზემოქმედებითაა გამოწვეული. ამ კვლევებით გამოიკვეთა დასხივებით კიბოს განვითარების რისკის გაზრდა იმ შემთხვევაში, როცა დასხივების დოზა აღემატება 100 მზ-ს. სწორედ, ესაა იმის მიზეზი, რომ რადიაციის დიდი დოზით ზემოქმედება, მაგნე შედეგების განვითარების თვალსაზრისით, გაცილებით სრულფასოვნადა შესწავლილი და დასაბუთებული, განსხვავებით მცირე დოზების ზემოქმედებით განპირობებული ჯანმრთელობის ეფექტებისგან, რაც ჯერ კიდევ სტრიოზულ განსჯის საგანს წარმოადგენს. თუმცა, უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, ზოგიერთი ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგენილია კიბოს რისკის გაზრდის შესაძლებლობა შედარებით დაბალი დოზების (50-100 მზ) ზემოქმედების პირობებშიც (2).

დასხივების შემდეგ, დოზის სიდიდისგან გამომდინარე, ორგანიზმში შეიძლება განვითარდეს დეტერმინირებული ან სტრესტური ეფექტები.

დეტერმინირებულია ეფექტი, რომელსაც გააჩნია ზღვრული დოზა, ანუ ეფექტი განვითარდება ზღვრულზე მეტი დოზით დასხივებისას და არ განვითარდება უფრო ნაკლებით მოქმედების პირობებში. ამასთან, დოზის გაზრდა იწვევს განვითარებული მავნე შედეგის დამძიმებას.

სტრესტურ ეფექტს კი, განსხვავებით დეტერმინირებულისგან, არ გააჩნია ზღვრული დოზა, ანუ ნებისმიერი უმცირესი დოზა შეიძლება იწვევდეს მავნე ეფექტს და დოზის გაზრდასთან ერთად იზრდება არა ეფექტის სიმძიმის ხარისხი, არამედ მისი განვითარების ალბათობა.

კანცეროგენეზი სომატო-სტრესტური ეფექტია: სომატური - რადგან ვითარდება დასხივებულ პირში და სტრესტური - რადგან მისი განვითარებისთვის არ არსებობს ზღვრული დოზა, რის გამოც შეიძლება განვითარდეს ნებისმიერი უმცირესი დოზის მოქმედების პირობებში (1).

რადიაციის მცირე დოზების მუდმივი ზემოქმედებისას დამ-ში განვითარებული მუტაციები აღდგენას ასწრებს და უარყოფითი ეფექტი მცირე დროში ვერ იქნება შესამჩნევი. თუმცა შესაძლოა დამ-ში მუტაციები აკუმულირდეს, რაც, საბოლოოდ, ონკოლოგიურ დაავადებებს გამოიწვევს. დასხივების ნიადაგზე ნეგატიური შედეგების წარმოქმნის ალბათობა დასხივების დოზის პროპორციულია (4; 11).

კველაზე მოწყვლად ჯგუფს, რადიაციის ზემოქმედების თვალსაზრისით, ორსულები და ბავშვები წარმოადგენ (4).

არსებობს კვლევები განსხვავებული შედეგებით, რომელთა მიხედვით, მცირე დოზებით დასხივებისას არ არსებობს მტკიცებულება ორსულობის მიმდინარ-

ეობასა და ნაყოფის მდგომარეობაზე მისი მავნე ზეგავლენის შესახებ. თუმცა რისკი იზრდება რადიოთერაპიის ან რაიმე სხვა მიზეზით (მაგალითად, ბირთვული ავარიების დროს) განპირობებული რადიაციის მაღალი დოზის ზემოქმედების პირობებში (10).

ემბრიოგენეზი რთული პროცესია, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა უარყოფითად მოქმედი ნებისმიერი ფაქტორის მიმართ (მაგალითად, როგორიცაა: ტერატოგენული პრეპარატები, ალკოჰოლი, მონვა, რადიაცია და შესაბამისი კვების დეფიციტიც კი). მაინონზებელი გამოსხივება საშიშია ნაყოფის განვითარების პროცესში (განსაკუთრებით ორსულობის მე-2-15 კვირაში), რადგან ამ დროს იზრდება ტერატოგენული რადიაციული დაზიანების განვითარების რისკი, რაც შესაძლოა გამოვლინდეს ზრდის შეჩერებით მუცულად დყოფნის პერიოდში, კოგნიტური უნარების გაუარესებით, განვითარების თანდაყოლილი მანებით, ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებითა და შეიძლება ფატალური შედეგებითაც დასრულდეს - ემბრიონის, ნაყოფის ან ახალშობილის სიკვდილით. საბოლოო შედეგი დასხივების მიღებულ დოზაზეა დამოკიდებული (განსაკუთრებით - სხივური თერაპიის დროს) და მის გაზრდასთან ერთად იმატებს მავნე ეფექტის განვითარების რისკიც (12).

ავთვისებიანი სიმსივნე შედარებით იშვიათია ორსულობის დროს (0.02-დან 0.1%). მათ შორის კველაზე გავრცელებულია, ლოკალიზაციის მიხედვით, ძუძუს, კანის, რეპროდუქციული სისტემის (საშვილოსნოს, საშვილოსნოს ყელის, საკვერცხეების), ჰემატოლოგიური (ჰიფეკინის, არაჰიფეკინის ლიმფომა) სიმსივნეები, რის გამოც საჭირო ხდება რადიოთერაპიის ჩატარება დედის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან დაკავშირებით არსებობს არც თუ ისე უსაფუძვლო მოსაზრება, რომ ეს შესაძლოა ნაყოფის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი იყოს. ადრე ნორმად ითვლებოდა მიმდინარე ორსულობის შეწყვეტა, ტრიმესტრის მიუხედავად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში კი, მტკიცებულებების გაზინდისა და უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვის გამო, შესაძლებელია დასხივების პროცედურის ოპტიმიზება და მისი მიგვარად ჩატარება, რომ მაღალი დოზით დასხივდეს სიმსივნური უპანი, ჯანმრთელი უჯრედები კი დაიზოგოს. თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას - მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფი შეიძლება არ ხვდებოდეს უმუალოდ დასხივების ველში, მაინც დიდია მისი მცირე დოზით დასხივების ალბათობა ამაჩქარებლიდან ან კოლიმატორიდან სხივების გაბნევის გამო. ეს დასტურდება კვლევებით (15), რომელთა მიხედვითაც, არსებობს მავნე შედეგების გაზრდილი რისკი ორსულებსა და ახალშობილებში მუცლისა და მენჯის ღრუს დასხივებისწინა ისტორიით, რაც, სავარაუდოდ, საშვილოსნოს პროექციაზე დასხივების მაღალი დოზით ზემოქმედების შედეგია. ამ დროს შეიძლება ორსული საშვილოსნოს ზრდა შეიზღუდოს და სისხლარღვთა ცვლილებები განვითარდეს, რაც საშვილოსნოში სისხლის ნაკადს შეაფერებს. ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება ნაადრევი მშობიარობის მიზეზი გახდეს. დადგენილია, რომ იმ პაციენტებს, რომლებ-

საც მკურნალობა უტარდებოდათ რადიოთერაპიის მაღალი დოზით (>5გრ), აღენიშნებოდათ ნაყოფის არასწორი მდებარეობის, მისი დაბალი წონისა და ნაადრევი მშობიარობის უფრო მაღალი სიხშირე იმ პაციენტებთან შედარებით, რომელთაც არ ჩატარებიათ სხივური თერაპია. აქედან გამომდინარე, უპირობოდ უნდა დავიცვათ ALARA-ს პრინციპი, ანუ დასხივება უნდა იყოს იმდენად დაბალი, რამდენადაც შესაძლებელია (15).

მაიონიზებელი გამოსხივების საშუალო ან მაღალი დოზების ზემოქმედება ბავშვებში კიბოს განვითარების ცნობილი რისკის ფაქტორია (2).

ლეიკემიის, რომელიც მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სიმსივნეა ბავშვებში, ძირითად გამომწვევ მიზეზად განიხილება გენეტიკური ფაქტორი და მაიონიზებელი გამოსხივების მაღალი დოზები. არაერთი კვლევა განხორციელდა გარემო ფაქტორებსა და ბავშვთა ლეიკემიას შორის კავშირის შესასწავლად, რომელთა შედეგებიც ადასტურებს გარემოს როლს დაავადების ეტიოლოგიაში, თუმცა რადიაციის გავლენა, როგორც პირდაპირი რისკის ფაქტორია, არ დასტურდება (5).

დიდი ძალის ხევა განხორციელდა გარემო ფაქტორებსა და ბავშვთა ლეიკემიის რისკს შორის კავშირის შესასწავლად, მისი ინციდენტობის გეოგრაფიული ცვალებადობის გათვალისწინებით (5). ზოგიერთი მტკიცებულება ეფუძნებოდა მშობლების სამუშაო გარემოში პესტიციდების გამოყენებას მაშინ, როდესაც ნაკლები მტკიცებულებები არსებობს პოსტნატალურ პერიოდში პესტიციდების შესაძლო ზემოქმედების შესახებ. სხივური დიაგნოსტიკა და რადონის ზემოქმედება განიხილებოდა ერთ-ერთ მიზეზად, რომელიც არ არის საკმარისად შესწავლილი. უკიდურესად დაბალი სიხშირის მაგნიტური ველები მუდმივად აჩვენებს რისკის მცირე ზრდას, თუმცა, არ გამოირიცხება გარეული უზუსტობებიც. გარემოსა და რადიაციულ ფაქტორებთან ერთად, განიხილება ინფექციების დროს მსგავსი გამოსავლის არსებობა, თუმცა ძნელი სათქმელია, თუ ბავშვების რომელი ჯგუფები იმყოფება მაღალი რისკის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა ლეიკემიის შემთხვევები, ასაკისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მიუთითებს გარემო ფაქტორების არცთუ უმნიშვნელო როლზე მისი განვითარების თვალსაზრისით, დალეისთვის არ არის გამოვლენილი გარემოს კონკრეტული ფაქტორი, მათ შორის, რადიაციაც, რომელსაც შეუძლია სოლიდური წვლილის შეტანა ბავშვთა ლეიკემიის გლობალური გავრცელების პროცესში. დაავადების გამოვლენა მცირე ასაკში და ბავშვის დაბადებამდე ქრომოსომული დაზიანებების არსებობა დაავადებულ ბავშვთა მშობლების ფაქტორის როლის კვლევას კვლავაც აქტუალურს ხდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადებისა და მისი მკურნალობის არასასურველი გვიანი ეფექტების გათვალისწინებით, ბავშვთა ლეიკემიის მოდიფიცირებადი რისკის ფაქტორების იდენტიფიცირება რჩება მთავარ მიზან დაავადების პირველადი პრევენციის განხორციელების მიზნით (5).

სხვა კვლევების, რომელიც მოიცავდა გამოსხივების ბუნებრივი წყაროებით განპირობებული დასხივე-

ბის დოზის შესაძლო კავშირის დადგენას ბავშვთა ონკოლოგიურ აგადობასთან, შედეგების თანახმად გაჩნდა ვარაუდი, რომ ფონური გამოსხივება (გამა-გამოსხივება, რადონი) შეიძლება იყოს ბავშვებში კიბოს, მათ შორის, ლეიკემიისა და ცნს-ის სიმსივნეების განვითარების რისკის გაზრდის ხელშემწყობი ფაქტორი (3), თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი აზრი, ჯერჯერობით, არ არსებობს, რადგან, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, ბავშვებში ცნსის სიმსივნეების განვითარების დადასტურებული რისკის ფაქტორია მაიონებელი გამოსხივების მაღალი დოზების ზემოქმედება, მცირე დოზების როლი კი სადაცვა (8; 9).

მიუჟედავად იმისა, რომ მაიონიზებელი გამოსხივების როლი ბავშვთა ასაკში ცენტრალური ნერვული სისტემის სიმსივნეების განვითარებაში რაოდენობის კვლევებით დადასტურებულია, რადიაციის მცირე და საშუალო დოზებით ზრდასრულთა ექსპოზიციით გამოწვეული შედეგები უკანასკნელ პერიოდამდე არა-თანმიმდევრული იყო და, ასევე, არ არსებობდა ამ საკითხის სისტემური მიმოხილვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს შეადგენდა შედეგების შეჯერება და ეპიდემიოლოგიური კვლევებიდან მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების გამოტანა მცირე და საშუალო ( $<0,5$  გრე) დოზების ზემოქმედებით განპირობებული შესაძლორისკების შესახებ, ზრდასრულ და ახალგაზრდა ასაკში, ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების თვალსაზრისით.

2000-დან 2022 წლამდე გამოქვეყნებული შესაბამისი ეპიდემიოლოგიური კვლევების შესასწავლად ჩატარდა ელექტრონულ მონაცემთა ოთხი ბაზის სისტემური ღილტერატურის ძიება. საერთო ჭარბი ფარდობითი რისკი შეფასდა რანდომული ეფექტის მოდელის გამოყენებით. სისტემურ მიმოხილვაში შევიდა 18 პუბლიკაცია და მათგან 12 - მეტაანალიზში. გათვალისწინებული იყო მაიონიზებელი გამოსხივების ისეთი წყაროები, როგორებიცაა: ატომური ბომბის აფეთქება, სამუშაო და გარემოს ფაქტორები.

აღნიშნული კვლევის შედეგად არ გამოვლინდა დოზა-რისკის კავშირი ცენტრალური ნერვული სისტემისა და ტვინის სიმსივნეების განვითარებასთან. ამგვარად, კვლევის სისტემურმა მიმოხილვამ და მეტაანალიზმა არ აჩვენა რაიმე კავშირი მაიონიზებელი გამოსხივების დაბალი და ზომიერი დოზების ზემოქმედებასა და ცნს-ის სიმსივნის განვითარების რისკს შორის. თუმცა, ავტორთა აზრით, აუცილებელია შემდგომი კვლევების ჩატარება ჰისტოლოგიური და ზუსტი დოზის შესახებ მონაცემების შეფასებით (7).

მაიონიზებელი რადიაცია მხოლოდ ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკის ფაქტორი არ არის. ბავშვების ასაკში მიღებული დასხივების დაბალი და ზომიერი დოზები შეიძლება წარმოადგენდეს ზრდასრულ ასაკში გულ-სისხლძალვთა დაავადებების (გულის იშემიური დაავადება, საძილე არტერიის სტენოზი, ინსულტი) განვითარების რისკის ფაქტორს. 2021 წელს ისრაელში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ გულ-სისხლძალვთა დაავადებების განვი-

თარების რისკი დასხივების დოზის პირდაპირობორ-ციულია და უკუპრობორციული - ასაკისა და სხივების მომენტში. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ ორგანიზმზე მაიონიზებელი რადიაციის დაბალი და ზომიერი დოზებით ზემოქმედება ზრდის ცერებრული და გულ-სისხლძარღვთა დარღვევების განვითარების რისკს (16).

ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა, მაიონიზებელი გამოსხივების ორგანიზმზე ზემოქმედების შესახებ, ნათლად ადასტურებს უკვე დადგენილ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ მაიონიზებელი რადიაციის მაღალი დოზებით დასხივება საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, თუმცა მცირე დოზების ზემოქმედების შედეგების შესახებ მეცნიერთა შეჯერებული აზრი ჯერ კიდევ არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდაა ცნობილი მაიონიზებელი გამოსხივების უზღვრო მოქმედების კონცეფუცია და მისი ზემოქმედებით გამოწვეული სტოქასტური ეფექტები, რომელთა განვითარებასაც ზღვრული დოზა არ გააჩნია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია რადიაციული უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპის ("ALARA" – "as low as reasonably achievable") განუხრელი დაცვა, რაც ნიშნავს რადიაციის ზემოქმედებისგან თავის არიდებას, რომელსაც არ მოაქვს პირდაპირი სარგებელი, თუნდაც დოზა მცირე იყოს (13).

#### ლიტერატურა:

1. გელაშვილი კ., ვეფხვაძე ნ., კილაძე ნ. რადიაციული ჰიგიენა. 2014. 242 გვ.;

2. Abalo, Kossi D., Rage, Estelle; Leuraud, Klervi; Richardson, David B.; Le Pointe, Hubert Ducou; Laurier, Dominique; Bernier, Marie-Odile. Early life ionizing radiation exposure and cancer risks: systematic review and meta-analysis. *Pediatric Radiology. Open Access*. Volume 51, Issue 1, Pages 45 – 56, January 2021. <https://www.scopus.com/record/display.uri?eid=2-s2.0-85090790496&doi=10.1007%2fs00247-020-04803-0&origin=inward&txGid=364c046ed6aa3c918b9b25cc6ed6f40b>;

3. Ben D Spycher, Judith E Lupatsch, Marcel Zwahlen, Martin Röösli, Felix Niggli, Michael A Grotzer, Johannes Rischewski, Matthias Egger, Claudia E Kuehni, Swiss Pediatric Oncology Group; Swiss National Cohort Study Group. Background ionizing radiation and the risk of childhood cancer: a census-based nationwide cohort study. *Environ Health Perspect*. 2015 Jun;123(6):622-8. doi: 10.1289/ehp.1408548. Epub 2015 Feb 23. PMID: 25707026 PMCID: PMC4455589 DOI: 10.1289/ehp.1408548. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/25707026/>;

4. Ionizing radiation, health effects and protective measures. <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/ionizing-radiation-health-effects-and-protective-measures>;

5. Joachim Schüz, Friederike Erdmann. Environmental Exposure and Risk of Childhood Leukemia: An Overview. *Arch Med Res*. 2016 Nov;47(8):607-614. doi: 10.1016/j.arcmed.2016.11.017. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/28476188/>;

6. Joseph Y Allen, MD John R Wingard, MD Nicholas Dainiak, MD, FACP. Management of radiation injury. Oct.

2022. [https://www.uptodate.com/contents/search?search=treatment-of-radiation-injury-in-the-adult&sp=0&searchType=PLAIN\\_TEXT&source=USER\\_INPUT&searchControl=TOP\\_PULLDOWN&searchOffset=1&autoComplete=false&language=&max=0&index=&autoCompleteTerm=#H57](https://www.uptodate.com/contents/search?search=treatment-of-radiation-injury-in-the-adult&sp=0&searchType=PLAIN_TEXT&source=USER_INPUT&searchControl=TOP_PULLDOWN&searchOffset=1&autoComplete=false&language=&max=0&index=&autoCompleteTerm=#H57;);

7. Julie Lopes, Clémence Baudin, Klervi Leuraud, Dmitry Klokov & Marie-Odile Bernier. Ionizing radiation exposure during adulthood and risk of developing central nervous system tumors: systematic review and meta-analysis. *Nature, Scientific Reports* volume 12, Article number: 16209 (2022). <https://www.nature.com/articles/s41598-022-20462-7>;

8. Justine Berlivet, Denis Hémon, Énora Cléro, Géraldine Ielsch, Dominique Laurier, Sandra Guissou, Brigitte Lacour, Jacqueline Clavel, Stéphanie Goujon. Ecological association between residential natural background radiation exposure and the incidence rate of childhood central nervous system tumors in France, 2000-2012. *J Environ Radioact*. 2020 Jan;211:106071. doi: 10.1016/j.jenvrad.2019.106071. Epub 2019 Oct 7. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/31600676/>;

9. Luís Antunes, Maria José Bento, Manuel Sobrinho-Simões, Paula Soares, and Paula Boaventura. Cancer incidence after childhood irradiation for tinea capitis in a Portuguese cohort. *Br J Radiol*. 2020 Jan; 93(1105): 20180677. Published online 2020 Jan 1. doi: 10.1259/bjr.20180677 PMCID: PMC6948089 PMID: 31674803. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6948089/>;

10. Michal Skrzypek, Artur Wdowiak, Lech Panasiuk, Magdalena Stec, Karolina Szczygie³, Ma³gorzata Zyba³a, Micha³ Filip. Effect of ionizing radiation on the female reproductive system. *Ann Agric Environ Med*. 2019 Dec 19;26(4):606-616. doi: 10.26444/aaem/112837. Epub 2019 Nov 12. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/31885235/>;

11. Radiation. volume 100D. A Review of Human Carcinogens. Lyon, France, 2012. <https://monographs.iarc.who.int/wp-content/uploads/2018/06/mono100D.pdf>;

12. Radiation and Pregnancy: A Fact Sheet for Clinicians. <https://www.cdc.gov/nceh/radiation/emergencies/prenatalphysician.htm>;

13. Radiation Protection of the Public and the Environment. General Safety Guide. IAEA Safety Standards Series No. GSG-8. International Atomic Energy Agency. Vienna, 2018. [https://www-pub.iaea.org/MTCD/publications/PDF/PUB1781\\_web.pdf](https://www-pub.iaea.org/MTCD/publications/PDF/PUB1781_web.pdf);

14. Radon and Cancer. (NIH) National Cancer Institute. <https://www.cancer.gov/about-cancer/causes-prevention/risk/substances/radon/radon-fact-sheet>

15. Rahul Kumar, Orlando De Jesus. Radiation Effects On The Fetus. In: StatPearls [Internet]. Treasure Island (FL): StatPearls Publishing; 2022 Jan. 2022 Apr 30. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/33232028/>;

16. Siegal Sadetzki, Angela Chetrit, Ben Boursi, Osnat Luxenburg, Ilya Novikov, Arnon Cohen. Childhood Exposure to Low to Moderate Doses of Ionizing Radiation and the Risk of Vascular Diseases. *Am J Epidemiol*. 2021 Feb 1;190(3):423-430. PMID: 32997139 DOI: 10.1093/aje/kwaa177. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32997139/>.

**SUMMARY****SHORT REVIEW OF TOPIC**

**Saganelidze T., Vepkhvadze N., Kochoradze-Margishvili T.**

**IONIZING RADIATION AND HEALTH**

**TSMU, DEPARTMENT OF HYGIENE AND MEDICAL ECOLOGY**

Scientific literature provides copious evidence on adverse health effects of exposure to ionizing radiation. Nevertheless, despite an abundance of research, conflicting data still exist. Nowadays, there's undisputed opinion on negative health effects of high-dose radiation exposure. Although there's shortage of convincing data and unanimity of opinion on exposure to low-dose radiation and associated health risks. Present work is a short review of data around the given issue. Research on the effects induced by exposure to ionizing radiation proves that high-dose ionizing radiation has detrimental impact on human health. Nevertheless, there's no common opinion among scientists on the effects of low-dose radiation despite widely known linear no-threshold model and stochastic effects for which no exposure threshold levels exist.

Taking into account above mentioned, best means of avoiding possible harmful effects of radiation exposure must be unwavering adherence to guiding principle of radiation safety ("ALARA" – "as low as reasonably achievable") meaning avoiding exposure to radiation that does not have a direct benefit even if the dose is small.

სვანიშვილი თ., თათარაძე ე., სოფრომაძე მ.,  
სოფრომაძე ზ., ნატროშვილი ი.

**კისრისა და გაჭის მიღავოში მიოფასციური  
ტიპივილის სიცდრომის გართვა  
პიორაგულაციური გაღიკავენთა განვითარების  
ინიციატივის საშუალებით**

თსსუ, სახალიციონ რეაბილიტაციისა და სპორტული  
გაღიკინის დაპარტამენტი, ვან ვოლეიბოლის  
სახალიციონ რეაბილიტაციის  
საუნივერსიტეტო კლინიკა

მიოფასციური ტიპივილის სიცდრომი საკმაოდ გავრცელებული მდგომარეობაა თანამედროვე საზოგადოებაში. ადამიანები დროდადრო განიცდიან კუნთების ტკივილს, რომელიც ხშირად თავისთავად ქრება გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კუნთების ტკივილი შეიძლება გაგრძელდეს და საკმაოდ შემანუხელებიც იყოს. ტკივილი შეიძლება აღმოცენდეს როგორც მოძრაობის დროს, ასევე მოსვენებულ მდგომარეობაშიც. მიოფასციური ტკივილის სიცდრომის ლოკალიზაციის მიხედვით ვლინდება გართულებებიც, კერძოდ, კისრის და ბეჭის მიდამოში მიოფასციური ტკივილის სიცდრომი

იწვევს სიმძიმის შეგრძნებას მხრებში, ძილის დარღვევას, ზოგჯერ თავის ტკივილსაც. მიოფასციური ტკივილი კისრისა და ბეჭის მიდამოში შეიძლება განვითილოთ, როგორც სამედიცინო, ისე სოციალ-ეკონომიკურ პრობლემად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დაქვეითება. კვლევებით დადგინდა, რომ მიოფასციური ტკივილის სინდრომის დიაგნოზი ხშირია კისრის ქრონიკული არასპეციფიური ტკივილის მქონე პაციენტებში (1). ყრუ, არასპეციფიკური ტკივილი მხრის ზედა ნაწილში, ასევე, მეტნილად მიოფასციური წარმოშობისაა, თუმცა მოითხოვს ფიბრომიალგიისგან დიფერენცირებას (4).

მიოფასციური ტკივილის სინდრომი ექვემდებარება მკურნალობას, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გამომწვევი მიზეზები თუ არ გაქრა, აღნიშნული სინდრომი ხშირ შემთხვევაში ისევ შეახსენებს თავს პაციენტს და იწვევს მისი შრომისუნარიანობის დაქვეითებას. გამომწვევი მიზეზის ყველაზე ხშირი მაგალითია მონოტრონურად განმეორებადი მოძრაობები ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხეულის ერთ მდებარეობაში ყოფნა, მჯდომარე ან მდგომარე პოზიციაში. მიოფასციური ტკივილის სინდრომი ასევე შეიძლება განვითარდეს პოსტტრავმულ პერიოდში, ხერხემლის დეფორმაციების, სახსრების ჰიპერმობილობის დროს და ა.შ. აღნიშნული სინდრომის განვითარების მიზეზები შეიძლება იყოს სისტემური და მეტაბოლური დარღვევები, როგორიცაა ჰიპოთირეოიდიზმი და ვიტამინების (D, C, B12) და რკინის დეფიციტი.

მიოფასციური ტკივილის სინდრომის მკურნალობისთვის მრავალი, როგორც მედიკამენტოზური, ისე არამედიკამენტოზური მეთოდი გამოიყენება (2). ფარმაკოლოგიური მეთოდებთ მკურნალობაში შედის ანალგეტიკური მედიკამენტები (ანთების სანინაალმდეგო, სტეროიდები, ლიდოკაინი, ტრამადოლი, COX-2 ინჴიბიტორები, მიორელაქსანტები, ანტიკონვულსანტები (გაბატრონი და პრეგაბალინი), ანტიდეპრესანტები, ბოტულინოტოქსინი (BoNT-A). ფარმაკოლოგიური მკურნალობის მეთოდებიდან გამოყოფენ ტრიგერულ წერტილებში ინიექციას, როგორც მშრალი ნემსით, ასევე ადგილობრივი ანესთეტიკით, სტეროიდების ინიექციას, მანუალურ თერაპიას, მასაჟს, სამკურნალოვარჯიშს, ულტრაბგერას (თერაპიული და მაღალი სიმძლავრის), ნერვის კანგავლით ელექტროსტიმულაციას (TENS), ლაზეროთერაპიას.

სხვადასხვა კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, ტრიგერულ წერტილებში ინიექცია უნდა ჩაითვალოს ინტერვენციული მკურნალობის მთავარ მეთოდად მიოფასციური ტკივილის სინდრომის დროს. ტრიგერული წერტილების თერაპია განავითარა ჯანეტ ტრაველმა 1942 წელს (Trigger Point Therapy – developed by Janet G. Travell, M.D). განასხვავებრნ აქტიურ და ლატენტურ ტრიგერულ წერტილებს. აქტიური ტრიგერული წერტილები ჩვეულებრივ მდებარეობს ჩონჩხის კუნთებში, გამოირჩევა მომატებული მგრძნობელობით და ასოცირდება ლოკალურ ან რეგიონულად გავრცელებულ ტკივილთან. ლატენტური ტრიგერული წერტილები ძირითადად არააქტიურ მდგომარეობაშია, მანამ სანამ არ მოხდება მათი უშუალო გაღიზიანება. ლატენტური ტრიგერული წერტილების გამოვლენა ხდება პალპაციით. ტრიგერული